

SOME HISTORICAL MONUMENTS OF MESKHETI DESCRIBED BY THE PEN OF A PUBLICIST  
(END OF THE XIX CENTURY, BEGINNING OF THE XX CENTURY)

პუბლიცისტის კალმით აღწერილი მესხეთის ზოგიერთი ისტორიული  
ძეგლი (XIX საუკუნ. დასასრ. XX დასაწყ.)

თამარ გოგოლაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,  
ჭავჭავაძის ქ.53, გორი, 1400, საქართველო  
ტელ.: +995 577 251272  
ელ-ფოსტა: [tamilagogoladze@gmail.com](mailto:tamilagogoladze@gmail.com)  
<http://orcid.org/0000-0003-0450-2924>

**აბსტრაქტი:** მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში (გ. „ივერია“, ჟ. „ნაკადული“) სისტემატურად იბეჭდება პუბლიკაციები ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ყიფშიძის (ფრონელის) (1862-1916) მესხეთში მოგზაურობა-განცდილისა. ეს წერილები 1914 წელს გამოვიდა კრებულის „დიდებული მესხეთის“ სახელწოდებით. ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს ისტორიული კუთხეების - მესხეთის, ჯავახეთის მოვლის შედეგად იქ დაცული თუ უკვე განადგურებული ისტორიული ძეგლების აღ. ფრონელისეული აღწერილის საფუძველზე, მისი როგორც პუბლიცისტისა და ისტორიკოსის ნაღვაწის შეფასება.

მასალის შესწავლამ ცხადყო, რომ ალექსანდრე ფრონელის „დიდებული მესხეთი“ მართლაც პუბლიცისტური კრებულია, რომელიც სამოგზაურო ჟანრის ელემენტებსაც შეიცავს. ნარკვევში აღწერილი ისტორიული ძეგლები შესწავლილია ღრმა ცოდნით, ისტორიული წყაროების წინასწარი შესწავლით. ახალი დაკვირვებები დამყარებულია საკუთარი თვალთ დანახულ ძეგლზე თუ ახალ ფოლკლორულ ჩანაწერებზე. იგი მაინც შეიცავს მეტად საყურადღებო ინფორმაციებს იმდროისათვის შემორჩენილი ძეგლის მდგომარეობაზე. ამ კუთხით საყურადღებოა ისტორიული ძეგლის - ვარძიის რამდენიმე ნაწილი (დივანხანა, თამარის ოთახი და სხვ.) და საფარა.

**საძიებო სიტყვები:** დიდებული მესხეთი; ვარძია; საფარა; ზარზმა; დივანხანა.

## TAMAR GOGOLADZE

Doctor of Philological Sciences,  
Professor of Gori State University  
53 Chavchavadze St., Gori, 1400, Georgia  
Tel.: +995 577 251272  
Email: [tamilagogoladze@gmail.com](mailto:tamilagogoladze@gmail.com)  
<http://orcid.org/0000-0003-0450-2924>

**Abstract:** In the Georgian press of the end of the nineteenth century and the beginning of the twentieth century (Newspaper "Iveria", magazine "Nakaduli"), the travel-experience of the famous Georgian public figure Alexander Kipshidze (Fronelis) (1862-1916) in Meskheta is systematically printed. These letters were published in 1914 under the name of the collection "Glorious Meskheta". The collection presents historical monuments of Meskheta, Javakheti, historical Georgian regions preserved or already destroyed on the basis of what has been described according to A. Proneli, the assessment of his work as a publicist and historian, based on the mentioned collection, what has survived.

The study of the material revealed that "Great Meskheta" by Aleksandre Proneli is indeed a journalistic collection, containing elements of the travel genre, or an essay, but the historical monuments described in it are studied with deep knowledge, preliminary study of historical sources, new observations are based on the monument seen with one's own eyes or on new folklore records. It still contains very important information about the state of the monument remained at that time. In this regard, several parts of the historical monument Vardzia (Tamari's room, etc.) and Sapara, are noteworthy.

**Keywords:** Glorious Meskheta; Vardzia; Sapara; Zarzma.

**შესავალი.** XIX საუკუნე თავად იქცა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებისათვის შესანიშნავ ეპოქად, რაც განაპირობა როგორც პრესის განვითარებამ, ისე ევროპული სამეცნიერო ნაშრომების გაცნობამ როგორც ორიგინალში, ისე შუალედური ენიდან თარგმნის, უცხოელების დაინტერესებით საქართველოში, მისი კუთხეებით. ეს განსაკუთრებით შეეხო ისტორიულ მეცნიერებას. ქართველი და უცხოელი ისტორიკოსების (მარი ბროსე, დიმიტრი ბაქრაძე, ივანე როსტომაშვილი და სხვ.) გვერდით ჩნდებიან ადამიანები, რომლებმაც, უცხოეთში მიიღეს რა განათლება, გაეცნენ ქართულ მატარებებსა თუ საქართველოში მოგზაური ევროპელი მეცნიერების შრომებს, სცადეს თავად მოეხილათ სამშობლო ქვეყნის სხვადასხვა კუთხე (განსაკუთრებით სამხრეთ საქართველო), მისი ისტორიული ძეგლები (რომლებიც დრო-ჟამის გაჩანაგებას გადაურჩა); ჩაეწერათ ლეგენდები, გადმოცემები სხვისი ნააზრვის გამოყენებით; პრესის

ფურცლებზე პერიოდულად გამოეკვეყნებინათ წერილები. ერთი ასეთი პიროვნება იყო ქართველი საზოგადო და პუბლიცისტიკური მოღვაწე, ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი) (1862-1916). 1900-1905 წლებში ა. ყიფშიძე მუშაობდა რა ახალციხეში მომრიგებელ მოსამართლედ, თავად ცხენით, ურმით და ფეხით მოიარა სამცხე-ჯავახეთი და წერილების მთელი სერია გამოაქვეყნა „ივერიაში“ ჟურნალ „ნაკადულში“, საბოლოოდ კი 1914 წელს გორში, სტამბა „ქართლში“, ბეჭდავს კრებულს „დიდებული მესხეთი“, რომელიც მწერალმა აკა მორჩილაძემ „დაკარგული წიგნების“ სერიით XXI საუკუნეში ასე თვალწარმტაცად გაახშიანა რადიოს პირველი არხით (სტუდია „ეპოქა“).

ალ. ფრონელი კი ბევრს სწერდა, მაგრამ მასზე ცოტა თუ დაწერდა (ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, გ. საითიძე და სხვ.) და თუმცა მას ისტორიკოსადაც მოიხსენიებენ, მის ღვაწლზე, აღწერილ ქართულ ისტორიულ ძეგლებზე (სამცხე-ჯავახეთის, არტანის, კოლას ფოცხოვის და სხვ.) ნაკლებად აღნიშნავენ. წინამდებარე სტატიაში ვცადეთ „დიდებულ მესხეთში“ წარმოდგენილი რამდენიმე ისტორიული ძეგლის აღწერა გვეჩვენებინა პუბლიცისტის თვალთ დანახული. ესენია: საფარა, ვარძია, ზარზმა, რუსთავი, ხერთვისი. თავად ალ. ფრონელი ასე ახასიათებს ისტორიისადმი თავის დამოკიდებულებას: „ბოროტი დედინაცვალივით ისტორიამ დიდად გვაწამა, მაგრამ რა უყოთ! ამბობენ, მშობელ დედას ყველაზე ძრვიელ შვილებში მახინჯი და საზოგადოდ ჭირსა, წვალეზა და ტანჯვას გამოვლილი შვილი უყვარსო, ბრძენთა ნათქვამი მოვამბურნო, ჩვენ დედად გადვიქცეთ და შევიყვაროთ ისტორია, როგორც მახინჯი შვილი. სიყვარული კიდევ როგორიც უნდა იყვეს, მსხვერპლს მოითხოვს. უამისოდ სიყვარულს სიყვარული არ ეთქმის. მაშ შევსწიროთ ისტორიის სიყვარულს მცირედი მსხვერპლი და აუგოთ შოთა რუსთაველს ლამაზ ველზე პატარა ობელისკი მაინც“ (ფრონელი, 1914:11). თვით ალ. ფრონელი ნაშრომის შესავალში ასე ხსნის მისი გამოცემის მიზეზებს: „ამ კრებულის გამოცემით, რომელშითაც გადმოვბეჭდეთ სამი წერილი: დიდებული მესხეთი, ნახული და გაგონილი სამშობლო ქვეყანა, გვსურს ინტერესი გაუვლვიძოთ საზოგადოებას მესხეთისადმი. იგი გაიგებს, რა ნატვრის თვალს და ობოლ მარგალიტს დაჰკარგავს თუ ვინიცობაა გაიმარჯვა მტერმა და ეშმაკეული განზრახვა აისრულა. ჩახვდება იმასაც, თუ რა ხიფათი მოელის იმ ეროვნულ გამოფხიზლება-გადვიძებას, რომლის ნიშანიც, ჩვენდა საბედნიეროდ, ასე თვალსაჩინო შეიქმნა...

ერთად ერთი საბაზი და მიზეზი ამ კრებულის დაბეჭდვისა სწორედ ისაა, რომ მოაგონოთ ქართველს - დროა ვიფიქროთ და ვიზრუნოთ სამშობლოს იმ კუთხეებზე, რომელმაც გვაჩუქა კანონმდებელნი ბექა და აღბუღა, შეუდარებელი შოთა, ღვთისმეტყველნი ექვთიმე და გიორგი და ნეტარი მამა გრიგოლ ხანძთელი. ეს საყვარელი მნათობი ქართული სინასი“ (ფრონელი, 1914:1).

პუბლიცისტის მანერა ჭარბობს „დიდებულ მესხეთში“ თუ ისტორიკოსის მშრალი აღწერა? ამით დაინტერესებამ განაპირობა კიდევ წინამდებარე სტატია. რამდენიმე მის მიერ აღწერილი სამი ძეგლის (საფარა, ვარძია-რუსთავი, ხერთვისი) წარმოდგენისას, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „დიდებული მესხეთი“ საჭიროებს სერიოზულ კვლევას, რომლის მხოლოდ რამდენიმე დეტალი იქნა ჩვენს მიერ წარმოდგენილი.

**მეთოდები.** კვლევა ემყარება შედარებითი და კრიტიკული ანალიზის მეთოდებს

**შედეგები და დისკუსია.** ალ. ფრონელის აღწერები მეტად განსხვავებულია, მასში კარგად მოჩანს, რომ ავტორი მოგზაურობს მესხეთში, საკუთარი თვალით დანახულს წარმოაჩენს. იგი ისტორიკოსთა ნაშრომებით, სხვადასხვა პუბლიკაციებით წინასწარ სწავლობს მათ წარსულს, ისმენს გადმოცემებს, აკვირდება იქაურ მცხოვრებთ და ასე წერს მამულიშვილური გულისტკივილით გამსჭვალულ სტრიქონებს. კრებული „დიდებული მესხეთი“ საინტერესო შესწავლას მოითხოვს, მაგრამ ჩვენი სტატია მხოლოდ რამდენიმე ძეგლის მისეულ აღწერას ისახავს მიზნად. როგორ აღიქვამს მოგზაური პუბლიცისტი ისტორიულ ფაქტს, რამდენად თავისუფალია მსჯელობა მეცნიერული თვალსაზრისით? არის ძეგლი, რომელზედაც კრებულში რამდენიმე ადგილზე კვლავ საუბრობს. რითაა გამოწვეული ეს? დაკავშირებულია ეს საკუთარ განწყობილებასთან, ჭეშმარიტების ძიებასთან თუ ნანახის ზუსტ ფიქსაციასთან?

ალ. ფრონელი წერის ისე, როგორც ხედავს და გრძნობს ისტორიას, უფრო სწორად უახლოეს წარსულს საქართველოს იმისთვის იყენებს ნაშრომში, რამდენადაც ეს სჭირდება სათქმელ ობიექტს, ანუ მესხეთს. გულისტკივით წერს იგი მეფე ერეკლე II სურვილზე, როგორმე დაებრუნებინა მესხეთი, ამიტომ შეატანინა ეს თემა ტრაქტატში, მაგრამ სურვილი სურვილად დარჩა მის სიცოცხლეშივე. მას მოჰყავს ერეკლე მეფის წერილი გრაფ პანინთან, სიგელ-გუჯრები. თუმცა სად იხილა, არ ჩანს, ანუ დაზუსტებული სქოლოების გარეშე. ასევე ეხება საკითხს, რატომ დაიკარგა ქართული ენა და ქრისტიანული სარწმუნოება ზოგ სოფელსა თუ მცხოვრებში. ცდილობს ახსნას, რატომ მიიღეს კათოლიკობა ქართველებმა და სომხებმა. განსაკუთრებით აწუხებს ქართული ენის ბედი. ტრაქტატის ქართულ ტექსტსაც „ღვარჭნილად“ დაწერილად მიიჩნევს და ეთანხმება ზოგ მოსაზრებას, რომ იგი, ეტყობა, თავდაპირველად რუსულ ენაზე დაიწერა და მერე ითარგმნაო.

იხსენებს რა მესხეთის ისტორიულ წარსულს ალ. ფრონელი წერს: „დღეს მესხეთს ვეღარ იცნობთ. აჩრდილი და ნატამალია წარსულისა. ჩონჩხი რა არის, ჩონჩხისთვისაც კი ვერ შეგვიდარებია. რუსთველის, ბექასი და აღბუდას სამშობლო ისე დაკნინდა, ეს მშვენიერი და სიცოცხლით სავსე მხარე ძველის ერთიანი საქართველოსი. დღევანდელი მესხეთი ერთი რაღაც შემზარავი, თვალგადაუწვდენელი და უსაზღვრო სასაფლაოა. ქართველი მოგზაური, ქართულის

ისტორიის ცოდნით შეიარაღებული, სწორედ დასწრულდება აუარებელი ნანგრევების ხილვით“ (ფრონელი, 1914:7).

ფრონელი უფრო იმიტომ წუხს, რომ წარსულის ფასი დაჰკარგვია ქართველობას შედარებისათვის მას მოჰყავს ევროპა, სადაც „დიდებულ კაცთა ფეხსაცმელსაც მოწიწებით ინახავენ მუზეუმებში“. ასე განადგურებულა დიდებული შოთას სამშობლო რუსთავი. ამიტომ მოიმიზეზებს, ტურისტები არ წაიყვანოს ამ ადგილების მოსახლეობა (იგულისხმება ვარძია) და თავს მწვავე ეროვნულ სირცხვილს გადარჩენილად მიიჩნევს თავმდაბლურად.

სწორედ ამიტომ შესტრფის ჯერ კიდევ შემორჩენილ წარსულის ნაშთებს ზარზმას, საფარას, ჭულეს, შორეთს, ვაკეთს, კარზამეთს, ჯაყისმანს, საკუნეთს და კლდეში გამოკვეთილ ვარძიას.

სწორედ ვარძიის აღწერა მოვიყვანეთ მაგალითად იმისა, როგორ აღიქვამს და აჩვენებს მკითხველს ისტორიულ ძეგლს: „საგანი საუბრისა ამ ჟამად ვარძია გახლდება. ისტორიულს და გეოგრაფიულს ცნობებს ბევრს არას მოგახსენებთ.

ეს ვისთვისაა საჭირო? სულ ერთია, სანახავად არავინ გამოიქცევა და, მამსადამე, ამ ცნობებს ვერ გამოიყენებს“ (ფრონელი, 1914:68). მაგრამ ფრონელი მაინც ეცნობა და აცნობს მკითხველს, რომ არსებობს ქართულად გ. შატბერაშვილის წერილი ჯავახეთზე, დეკანოზ დ. ღამბაშიძის რუსულად დაწერილი წიგნაკი და გ. ვეიდენბაუმის ნათქვამი „კავკასიის გზის მაჩვენებელში“.

ვარძიაში, ეტყობა, ფრონელი რამდენჯერმე (ორჯერ ზედიზედ) ყოფილა. პირველად სოფელ აგარიდან ასულა, თუმცა აქვე მცირედი ირონია: თანამგზავრებმა იმიტომ წამიყვანეს, რათა ბატონის მიერ წართმეული სამოვრები ეჩვენებინათო. მეორედ ვიღაც ახალგაზრდა გასძლოლიათ, მიჩვეული ვარძიის თითქმის ჩაქცეულ საფეხურებზე ჯიხვივით ხტომას. ის მიუძღვოდა წაღებიან ალექსანდრეს. ირონიას არაერთგზის მიმართავს ალ. ფრონელი. ისტორიული წარსულიც წაკითხული მასალებიდან ამოუღია. მისდროინდელი ვარძიიდან აღსანიშნავია რამდენიმე სენაკის აღწერა: „კლდის მესამე სართულში სახელმწიფო საბჭოს დარბაზია, სიგრძით თორმეტი არშინი. ეხლა ამ დარბაზს დივანხანას ეძახიან. შიგა სდგას სამეფო ქვის ტახტი, დარბაისელთა და მსაჯულთა საჯდომნი, რასაკვირველია, ქვა-კლდისავე. სხვადასხვა ადგილს ამოჭრილია თახჩები, ზოგი ხატების დასასვენებლად, ზოგი კანონთა დასალაგებლად. იქვე ცალკე პატარა ოთახია გადაწყვეტილ საქმეთა და სიგელ-გუჯართა დასაცველად, ანუ ახლანდელი არქივი...“ (ფრონელი, 1914:73-74).

სადღეისოდ ვარძიის დიდ ქვაბთაგან მოიხსენიება მხოლოდ „სატრაპეზო“ ბერებისათვის, მაგრამ ვახტანგ ბერიძე თავის ნაშრომში „ძველი ქართული ხუროთმოძღვრება“ აღნიშნავს, რომ „ვარძიის მთელ ანსამბლში უკეთაა დაცული აღმოსავლეთი ნაწილი. აქ მთლიანად ან ნაწილობრივ გადარჩენილია 242 გამოქვაბული ოთახი. მათ შორის გვხვდება დარბაზი რომლის ზომაა 5,6X18მ.

მისი კედლები განსაკუთრებული სიბეჯითაა დამუშავებული. ამავე ნაწილშია მცირე ეკლესია „სადარბაზო“, „თამარის ოთახად ცნობილი გამოქვაბული, ე.წ. „სალხინო“ (აქ მარანია და სხვა. მონასტერს, რა თქმა უნდა ჰქონდა სატრაპეზო და ბევრი სხვა სამლოცველო. (ბერიძე, 1974:169) (ხაზი ჩვენია - თ.გ.).

ვარძიის ქვაბების მკვლევარი გივი გაფრინდაშვილი მისი მშენებლობის მეხუთე პერიოდთან (1391-1444 წ.წ.) აკავშირებს სატრაპეზოს აგებას, ვარძიის ტაძრის სტოას შესავლის თაღის ასომთავრული წარწერის მიხედვით, იგი უნდა აეშენებინოს ივანე ათაბაგს: „დიდი ტრაპეზი აქ სატრაპეზოს მნივნელობით უნდა იყოს ნახმარი. წარწერაში დასახელებული ტრაპეზის მდებარეობა გამორკვეული არ არის, მაგრამ ჩვენ ამ ტრაპეზს ვარძიის ქვაბთა დასავლეთ ნაწილში შემორჩენილ სატრაპეზოს ვუკავშირებთ“ (გაფრინდაშვილი, 1957:24). ეს სატრაპეზო არაა ნახსენები ალ. ფრონელის ნაშრომში. ამდენად დივანხანა, თამარის ოთახი და სხვ. შემორჩენილი უნდა იყოს მხოლოდ ალ. ფრონელის ნაშრომში.

„დივანხანის თავზე ცალკე ოთახია, სიგრძით 9 არშინი, სიგანით 6. ზეპირ-გადმოცემით თამარ მეფის საწოლი და მოსასვენებელი ოთახი ყოფილა. საკუჭნაო და სალოგინე ცალკეა, სადარაჯო ოთახი კიდევ ცალკე (ფრონელი, 1914:73-74). აქვე პუბლიცისტური ამოძახილი „ნეტა რა ხელმა და მარჯვენამ გამოჰკვეთა ეს აუარებელი ოთახ-სენაკებიო“ (ფრონელი, 1914:74).

აქვე წარმოადგინა ალ. ფრონელმა დივანხანაში თამარის ეპოქის საბჭო, გამართა ბჭობა, თამარის თავმჯდომარეობით. ავტორი სენაკების შემდეგ აღწერს ეკლესიებსაც, რომლებიც შებილწულა სხვადასხვა რუსულ-ქართულ-სომხური წარწერებით.

ფრონელი კიცხავს მათ და, განსაკუთრებით, თავად თარხნიშვილს. ალ. ფრონელის წარმოდგენით აქ უყვარდა თამარ მეფეს დროის გატარება, „რომელმაც გაადიდა და გააფართოვა მღვიმე-ქალაქი და ააშენა ეკლესია მღვთის მშობლის სახელზედ. ამ ეკლესიის კედლებზე ფერადი საღებავით დახატულია სურათი სახელოვანის დედოფლისა. პირველად როდის აშენდა და რა დროს გავერანდა, არ ვიცი“. „მღვთის მშობლის ეკლესიაში დღესაცაა წირვა-ლოცვა და მღვთის მსახურება ქართულად. ჩრდილოეთის კედელზე დახატულია თამარ მეფის სურათი უშველებელი საყურეებით. ისეთივე, როგორც ბეთანიის მონასტერში, მაგრამ აქ უკეთაა შენახული“ (ფრონელი, 1914:81).

დიდი ეკლესიის ჩრდილოეთი კედლიდან კლდეში ხვრელს შენიშნავს ალ. ფრონელი, 81 საფეხური ჩადის ამ ხვრელში და ავტორი თავის შიშსაც გამოხატავს. ხვრელის იქით ფართო მოედანია, საიდანაც იწყება ბერთა სენაკები, მეოთხე სართულისა. ფრონელი დიუბუასაც იმოწმებს,

რომ ვარძიის „სენაკები ზოგი საჯინიბო ყოფილა, ზოგი საცხოვრებელი და მაღაზია და ზოგიც დუქანიო“ (ფრონელი, 1914:82).

იმდროისათვის ვარძიას პატრონობას უწევდა თურმე არქიმანდრიტი მამა სიმონი (გვარად წულუკიძე), რომელიც თავისი ორი მორჩილით ეწევა სასულიერო საქმეს. ალ. ფრონელი იმასაც შენიშნავს, რომ არქიმანდრიტი სიმონი ძველი ყადის სამღვდელთა, რომელიც მძიმე შრომით ეწევა საქმიანობას.

ალ. ფრონელი ისქანდერ მუნშს იმოწმებს ვარძიის შაჰ-თამაზის მიერ აკლესიის აღსაწერად, შემდეგ ოსმალების მიერ მის გაძარცვასაც, ბოლოს კი გრაფ პასკევიჩის მიერ 1828 წელს ვარძიის საქრისტიანოსათვის დაბრუნებას. თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ, სამაგიეროდ ქურთები მონასტერს დაეპატრონენ და საქონელს აბინავებენ იქ, თან წმინდანებს ტყვიით უხვრეტენო თვალებს.

ზოგი ფაქტის წარმოსადგენად ჟურნალ „მოგზაურში“ ვინმე მესხის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილითაც სარგებლობს ალექსანდრე ფრონელი. მაგრამ, ეტყობა, ვერ ახერხებს ყველგან დაიმოწმოს სხვა ისტორიკოსი. უკანასკნელ ამოკვენესასავით ისმის მისი სიტყვები ვარძიაზე: „დღევანდელი ვარძია, კლდეში გამოქვაბული მონასტერი, ის დიდებული ნაშთი დიდებულის წარსულისა, მინგრეულ-მინგრეული, გავერანებული, პატივსა და დიდებას აყრილი, გვირგვინ-ახილი და კერაჩამქრალი. უპატრონოდ დარჩენილს მონასტერს სტიქიონი უფლობს და ნუღარ გაგიკვირდებათ, თუ მისი სენაკნი ხვლიკითა და ღამურათა ბინად გადაქცეულა“ (ფრონელი, 1914:73).

ვარძიის ღვთისმშობლის ტაძარი 1854 წლიდან ქვისმთელ ბერძენს პაპანდოპულოს ეგზარქოს ისიდორეს ნებართვით გაუწმენდია, იაფფასიანი კანკელი დაუდგამს და საკურთხეבלად მოუშადადებია.

იგივე პაპანდოპულოს ღვაწლს აღნიშნავს ავტორი საფარის ტაძრის მიმართაც. თუმცა თავის ნაშრომში ალ. ფრონელი ქართველ ბერ ქრისტესიასაც ახსენებს, არქიმანდრიტ მამა პაისის დამკვიდრებამდე საფარას, „დიდებული მესხეთის“ ამ მეორე ბურჯსა დარაჯობდა მხოლოდ ერთადერთი ქართველი მწირი ქრისტესია“ (ფრონელი, 1914:105).

ფრონელი მიანიშნებს, რომ ახალციხიდან საფარამდე შვიდი ვერსია და სამონასტრო კომპლექსში სულ 12 თლილი ქვის ეკლესია ყოფილა, რომელთაგანაც თერთმეტი კარგად შემონახულია. მათ შორის აღსანიშნავია წმ. საბას ეკლესია, „ქვა საყდრისა მოწითალო, აშენებულია ხრამის პირას. კარი და ფანჯარა წმ. საბას ეკლესიისა დიდებულადაა შემკული ჩუქურთმით. ეკლესიის ქვეზე მრავალი ხუცური წარწერებია. მონასტერი აშენებულია მეთორმეტე საუკუნეში (ფრონელი, 1914:142).

უფრო ზემოთ, მსჯელობს რა საფარაზე, ახლა 13 ეკლესიას აღნუსხავს საფარის კომპლექსში გადარჩენილთ: „სხვათა შორის წმინდა საბასი, სადაც დახატულია ფერადის საღებავით სარგისი, სამცხეს სპარსალარნი, ყვარყვარე, შალვა და ათაბეგი-ბექა, მანდატურ-უხუცესი, დამფუძნებელი და გამამშვენებელი ტაძრისა“ (ფრონელი, 1914:106). როდესაც არქიმანდრიტმა პაისმა დაიმკვიდრა ადგილი, საფარაში მოიყვანა უვიცი ბერები. დამცველი ტაძრისა ქრისტესია კი გააგდეს, რომელმაც ბორჯომის მახლობლად ეკლესია ნახა და იქ შეეფარა. მას დაუწყია ეკლესიის „ჩვეულებრივი გამშვენებლობა“ და მერე იქვე გარდაცვლილა 1892 წლის 30 მაისს. მაგრამ ახალციხის ქართველობას არ დაუკარგავს მისი წვლილი - ძეგლი დაუდგია (1893 წელს) ქართულ-რუსული წარწერით. ალექსანდრე ფრონელი გულისტკივილით აღნიშნავს: „საფარას ქრისტესია ბერი მაინც დარაჯობდა და გუშაგობდა. წელიწადში ორჯერ-სამჯერ მაინც ანთებდა სანთელს საბას ეკლესიაში და მტვერს მოაცლიდა ამ ტაძრის ამშენებელს ბექას, მესხეთის ამ შესანიშნავს კანონმდებელს, ვარძიისათვის ბედმა მწირიც კი (რიასოფორი) დაიშურა (ფრონელი, 1914:107).

ასევე არ დავიწყებია ქართველობას ვარძიაზე მზრუნველი ბერძენი პაპანდოპულო. აქვე ალ. ფრონელი ერთგვარ შენიშვნას აკეთებს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ინფორმაცია ჟურნალ „მწყემსში“ დაზუსტებას მოითხოვს: ვარძიის ტაძრის კურთხევა მომხდარა არა არქივისკოპოს ევსევის დროს, არამედ როგორც ყოვლისამღვდელო კირიონის გამოკვლევაში (რომელიც აშენებულია საარქივო მასალასა და დოკუმენტებზე) წერს: საქართველოს ეკლესიას მიტროპოლიტი ისიდორე განაგებდა 1844 წლის 12 ნოემბრიდან 1858 წლის 1 მარტამდე. და, რამდენადაც 1857 წელს აკურთხეს ვარძიის ღვთისმშობლის ეკლესია, ამ დროს უნდა ყოფილიყო ისიდორეო.

საოცრად მხატვრული სტრიქონები მიუძღვნა ალ. ფრონელმა ზარზმას: „ზარზმა აგებულია მეათე საუკუნეს ქრისტეს დაბადების შემდეგ დავით კუროპალატის დროს. მაშასადამე მონასტერი არსებობს ცხრაასი წელიწადი. ახალციხიდან ზარზმამდე 35 ვერსია, გზა მშვენებია და ქვაფენილი. ასე ლამაზი, კოხტა, ტურფა საყდარი ორი არ მეგულება მთელ საქართველოში. ზარზმა აშენებულია ამაღლებულ ადგილზე და თავს დაჰყურებს ქავბლიანის ხეობას“ (ფრონელი, 1914:141).

„ზარზმას დიდი ბედი ეწვია. განსვენებულმა დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს ძემ თვისის ხარჯით და საფასით განაახლა ტაძარი, გაასუფთავა და გაამშვენებია. ზარზმაშია დახატული ათაბაგნი: სარგისი I, შვილი მისი ბექა II, და შვილიშვილები სარგისისა: სარგისი II და ყვარყვარე“ (ფრონელი, 1914:142).

ალ. ფრონელი წუხს იმის გამო, რომ იქვე, ადიგენის თავზე აღმართული ჭულეს მონასტერი ისევე მშვენებია, გასაოცარი სამრეკლოთი, მაგრამ მიტოვებულია.



სამწუხაროდ, ალ. ფრონელი ხშირად პირდაპირ სარგებლობს წყაროს ნაწილებით. ასეთია ხერთვისის ციხის აღწერა, რომელიც ივანე როსტომაშვილის ნაშრომშია მოცემული. მაგალითისათვის მოგვყავს ციტატა ივანე როსტომაშვილის ისტორიული აღწერიდან: ხერთვისის ისტორიიდან და სოფლის ხეხილის ბაღებიდან მხოლოდ ხერთვისის კოშკების მშენებელთა შესახებ არსებულ ლეგენდას მიწერილი აქვს: „ის ლეგენდა დაბეჭდილია ივ. პ. როსტომაშვილის წიგნში“ (ფრონელი, 1914:162).

ალ. ფრონელის ნაშრომში ასევე აღწერილია ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ისტორიული სოფლები არტაანი, ფოცხოვი, კოდა დ სხვ.

**დასკვნა.** ალ. ფრონელის კრებულის „დიდებული მესხეთის“ ზოგიერთი ნაწილის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ესაა პუბლიცისტის მიერ მესხეთში მოგზაურობის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების წინასწარ შესწავლილი ისტორიული წყაროების გათვალისწინებით და საკუთარი განცდილის წარმოდგენით, რომელიც მაინც იმსახურებს ხშირ შემთხვევაში ისტორიისათვის საყურადღებო მასალას, აღმოჩენას ან ამა თუ იმ ძეგლისა და მისი ნაადგილარის შესახებ ინფორმაციას, რაც მოითხოვს შემდგომ შესწავლას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

ფრონელი, ალ. (1914). *დიდებული მესხეთი*. გორი: იასონ კერესელიძის სტამბა.

გაფრინდაშვილი, გ. (1957). *ვარძიისა და მისი მიდამოების ქვაბები*. თბილისი: საზ. „ცოდნა“.

ბერიძე, ვ. (1974). *ძველი ქართული ხუროთმოძღვრება*. თბილისი.

Сборник... (1898). *Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа*. вып.25.

### REFERENCES

proneli, al. (1914). *didebuli meskheti [Great Meskheti]*. Gori: Iason Kereselidze printing house.

gaprindashvili, g. (1957). *vardziisa da misi midamoebis kvabebi [Boilers of Vardzia and its surroundings]*/Tbilisi: society. "Knowledge".

beridze, v. (1974). *dzveli kartuli khurotmodzhvreba [Old Georgian Architecture]*. Tbilisi.

Сbornyk... (1898). *Sbornyk materyalov dlja opysanyja mestnostej y plemeny Kavkaza [Collection of materials for describing the localities and tribes of the Caucasus]*. Issue 25.

Сборник... (1898). *Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа*. вып.25.